საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 6 18 00936334

23/07/2018

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N898425; 12.07.2018) პასუხად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოცულობა და პირობები ყოველწლიურად განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით. წარმოგიდგენთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმართული სახსრების შესახებ ინფორმაციას წლების მიხედვით:

2010 წელს- 1,419.8 ათასი ლარი;
2011 წელი-1,578.6 ათასი ლარი;
2012 წელი-1,749.5 ათასი ლარი;
2013 წელი-3,393.9 ათასი ლარი;
2014 წელი-4,044.9 ათასი ლარი;
2015 წელი-3,988.8 ათასი ლარი;
2016 წელი-3,910.4 ათასი ლარი;
2017 წელი -3,917.1 ათასი ლარი;
2018 წელი-2,430.8 ათასი ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო ს ასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესი სა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

სექტემბრის №154/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში არსებული მონაცემების შესაბამისად. შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველო ინახავს ბაზის ასლებს და ინფორმაციას სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ გასცემს მხოლოდ ამ თარიღების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე დანართის სახით გიგზავნით სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატისტიკას 2016-2018 წლების პირველი აპრილის მდგომარეობებით.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

დანართი: „01“ ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსი
მარიამი ძიძიგური

მ. ძიძიგური